(1998)

ევროპარლამენტის <u>რეზოლუცია</u> "საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ~

_ ითვალისწინებს საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ ადრემიღებულ რეზოლუციებს,

_ ითვალისწინებს რა გაეროს უშიშროების საბჭოს 1998 წლის 28 მაისის განცხადებას,

_ ითვალისწინებს რა ევროკავშირის 1998 წლის 2 ივნისის განცხადებას,

ევროპარლამენტი:

ა) ღრმა წუხილს გამოხატავს აფხაზეთის (საქართველო) გალის რაიონში მომხდარი მძიმე ბრძოლების გამო, რომლის შედეგად დაიღუპა მრავალი მშვიდობიანი მოქალაქე და ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა საკუთარი სახლ-კარი.

ბ) აღნიშნავს, რომ სიტუაციის გაუარესება სერიოზულ საფრთხეს უქმნის კონფლიქტის საბოლოო მოგვარებისათვის გაეროს ეგიდით წარმართულ პროცესს და ზიანს აყენებს უსაფრთხოებას კავკასიის რეგიონში.

გ) გამოხატავს შეშფოთებას სამშვიდობო პროცესის შენელების გამო, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს რეგიონში მიმდინარე კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას საქართველოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის საფუძველზე.

დ) აღნიშნულ კონტექსტში გამოხატავს შეშფოთებას საერთაშორისო დახმარების მუშაკთა, საქართველოში გაეროს მისიის წარმომადგენელთა და დსთ კოლექტიური სამშვიდობო ძალების უსაფრთხოების გამო.

ე) აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ ჰქონდა ადგილი საქართველოში დემოკრატიული და პოლიტიკური განვითარების პროცესის დესტაბილიზაციის მცდელობას, მათ შორის, ყველაზე სერიოზული იყო პრეზიდენტ შევარდნაძის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობის ფაქტი.

ვ) გამოხატავს საქართველოში განუწყვეტლად მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესის სრულ მხარდაჭერას, რაც აისახა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელმოწერილ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში.

ზ) აღნიშნავს საქართველოს მიღწევებს დემოკრატიის განმტკიცების, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის დარგში, და

1. მტკიცედ გმობს აფხაზეთის (საქართველო) გალის რაიონის ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ამასწინათ განხორციელებულ ძალადობას;

2. მოუწოდებს მხარეებს მკაცრად დაიცვან 1998 წლის 14 მაისის ოქმის პირობები ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების დაშორიშორების შესახებ, ისევე, როგორც აღებული ვალდებულება ძალის არგამოყენებისა და კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი ხერხებით მოგვარების შესახებ;

3. მოუწოდებს ყველა მხარეს გამოიჩინონ საკმარისი პოლიტიკური ნება, რათა მიღწეულ იქნას მნიშვნელოვანი შედეგი როგორც გაეროს ეგიდით წარმართული სამშვიდობო მოლაპარაკებისა, ასევე პირდაპირი დიალოგის საშუალებით;

4. მოუწოდებს ყველა მხარეს, შეასრულონ ლტოლვილებისა და გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო დაბრუნების შესახებ ნაკისრი ვალდებულებები;

5. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას თავისი წვლილი შეიტანოს გაეროს ეგიდით წარმართული სამშვიდობო პროცესის ხორცშესხმის საქმეში;

6. მოუწოდებს ევროკომისიასა და ევროკავშირის საბჭოს, აღმოუჩინონ საჭირო დახმარება აღნიშნული რაიონებიდან ლტოლვილებს;

7. ხაზს უსვამს ევროპის საბჭოს ე. წ. ურთიერთნდობის გამაძლიერებელ საშუალებათა პროგრამის, როგორც ქართველებისა და აფხაზების შერიგების მძლავრი ინსტრუმენტის, მნიშვნელობას და მოუწოდებს ევროკომისიასა და ევროსაბჭოს მხარი დაუჭირონ ამ ინიციატივას;

8. მოუწოდებს ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებს, ეროვნებათშორისი დიალოგის აღდგენის მიზნით, დააფინანსონ ორენოვანი რადიოკომპანია "ერთობა~, რომელსაც აყალიბებს ევროპის საბჭო მისი წევრი სახელმწიფოების ნებაყოფლობითი შენატანების საფუძველზე.

9. ავალებს ევროპარლამენტის პრეზიდენტს გადასცეს ეს რეზოლუცია ევროკომისიის, ევროკავ-შირის საბჭოს, საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს და რუსეთის ფედერაციას.

1998 წლის 17 ივლისი

(გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა~, # 186, 1998 წლის 24 ივლისი)